საკანონმდებლო კვლევა ევროპულ/საერთაშორისო დონეზე

აღნიშნული სტატია წარმოადგენს იმ ევროპული და საერთაშორისო დოკუმენტების ერთგვარ შეჯამებას, რომლებიც უკავშირდება სექსუალურ და ოჯახში ძალადობას. არც ერთი წარმოდგენილი დოკუმენტი ხაზგასმით და კონკრეტულად არ მოიხსენიებს არასრულწლოვნების ურთიერთობასთან დაკავშირებულ ძალადობას (''Teen Dating Violence''), თუმცა შეეხება ოჯახში ძალადობას (ინტიმური პარტნიორის მიერ ძალადობას ან ძალადობას ახლო ურთიერთობებში), სექსუალურ ძალადობას ან ზოგადად გენდერზე ძალადობას. აღნიშნული დოკუმენტები არის სამართლებრივად მბოჭავი ძალის მქონე (ე.წ მყარი სამართალი - Hard Law), მაგრამ მათ აქვთ მხოლოდ ზოგადი ხასიათი და არ მოიცავენ საკითხს სპეციფიური დეტალების გათვალისწინებით.

ევრო-კავშირის, ევროპის საბჭოს თუ გაეროს წინამდებარე კანონებსა და რეგულაციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სექსუალური და ოჯახში ძალადობისაგან დასაცავად. ქვემოთ ახსნილია და შეგიძლიათ იხილოთ ყველა ამ სამართლებრივად მბოჭავი დოკუმენტის შეჯამება. თითოეული შეჯამების ბოლოს შეგიძლიათ იხილოთ ბმული, რომლის მეშვეობითაც წვდომას მოიპოვებთ დოკუმენტის ორიგინალ ვერსიაზე.

ევროპის საბჭო (ევროსაბჭო):

1. **სტამბულის კონვენცია (ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია)**

ევროპის კავშირი (ევროკავშირი):

2. **ევროკავშირის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2019/29/EU, რომელიც ადგენს უფლებათა მინიმალურ სტანდარტს, რათა მხარი დაუჭიროს და დაიცვას დანაშაულთა მსხვერპლები**

3. **ევროკავშირის 2013 წლის 12 ივნისის რეგულაცია 606/2013 სამოქალაქო საკითხებში დაცვის ზომების აღიარების შესახებ**

4. **2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა 2011/99/EU ევროპული დაცვის წესრიგი;**

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო):

5. **ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია.**

6. **ბავშვთა უფლებათა კონვენცია.**

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა არსებობს სხვა დოკუმენტებიც, რომლებიც არ არის სამართლებრივად სავალდებულო ძალის მქონე, შესაბამისად მათ სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ წევრი სახელმწიფოებისთვის. ევროკავშირი, ევროპის საბჭო და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მხარს უჭერენ ქალთა უფლებების დაცვის ზრდას ე.წ რბილი სამართლის (Soft Law - სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრებები და სხვ.), სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვის, საუკეთესო პრაქტიკების/გამოცდილებების გაცვლისა და შესაძლებლობების განვითარების მეშვეობით.

ევროპის საბჭო (ევროსაბჭო)

1. 2002 წლის რეკომენდაცია Rec(2002)5 ქალთა დაცვა ძალადობისაგან.

ევროპის კავშირი (ევროკავშირი)

2. ევროპარლამენტის 2014 წლის 25 თებერვლის რეზოლუცია კომისიისადმი რეკომენდაციებით ქალთა მიმართ არსებული ძალადობის დაძლევად.
3. ევროპარლამენტის 2009 წლის 26 ნოემბრის რეზოლუცია ქალთა მიმართ არსებული ძალადობის აღმოფხვრა.
4. ევროპარლამენტის 2017 წლის 14 მარტის რეზოლუცია ქალთა და კაცთა შორის თანასწორობაზე ევროკავშირში 2014-2015 წლებში
5. სტრატეგია ქალთა და კაცთა შორის თანასწორობისათვის 2010-2015
6. სტრატეგიული ჩართულობა გენდერული თანასწორობისთვის 2016-2019
7. ერთობლივი კომუნიკე გლობალური აქცია ქალთა მიმართ არსებული ძალადობის დასაძლევად
8. 2016 წლის დასკვნები გენდერულ თანასწორობაზე
9. ევროპული ღირებულებების შეფასება ქალთა მიმართ არსებული ძალადობის დასაძლევად
10. ევროკავშირის გაიდლაინები ქალთა და გოგონათა წინააღმდეგ არსებულ ძალადობაზე, ყველა ფორმის დისკრიმინაციის დასაძლევად.

გაერო:

11. გაეროს 2018-2021 წლების ქალთა სტრატეგიული გეგმა
12. ვენის დეკლარაცია და პროგრამა მოქმედებისათვის
13. პეკინის დეკლარაცია და პლათფორმა მოქმედებისათვის

სასამართლო გადაწყვეტილებები (Case Law):

<u>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო:</u>

1. კონტროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ (Kontrová v. Slovakia)
2. ბევაქვა და ს. ბულგარეთის წინააღმდეგ (Bevacqua and S. v. Bulgaria)
3. ბრანკო ტომაშიკი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ (Branko Tomašić and Others v. Croatia)
4. ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey)
5. ი.ს. და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ (E.S. and Others v. Slovakia)
6. ა. ხორვატიის წინააღმდეგ (A. v. Croatia)
7. ჰ. სლოვაკეთის წინააღმდეგ (Hajduovà v. Slovakia)
8. კალუზა უნგრეთის წინააღმდეგ (Kalucza v. Hungary)
9. ვ. ლიეტუვის წინააღმდეგ (Valiulienė v. Lithuania)
10. ა.ა. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ (A.A. and Others v. Sweden)
11. X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ (X and Y v. the Netherlands)
12. აიდინი თურქეთის წინააღმდეგ (Aydın v. Turkey)
13. მ.ს ბულგარეთის წინააღმდეგ (M.C. v. Bulgaria)
14. ი.ჯ მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ (I.G. v. Republic of Moldova)
15. ი.ი თურქეთის წინააღმდეგ (Yazgül Yılmaz v. Turkey)
16. ებცინი თურქეთის წინააღმდეგ (Ebcin v. Turkey)
17. ერემია და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ (Eremia and others v. Moldova)

18. დ.ჯ. ხორვატიის წინააღმდეგ (D.J. v. Croatia)

სიდოუს (CEDAW) კომიტეტის გადაწყვეტილებები:

19. ატ. უნგრეთის წინააღმდეგ (AT v. Hungary)
20. ფატმა ილდირიმ ავსტრიის წინააღმდეგ (Fatma Yildirim v. Austria)
21. ვერტიდო ფილიპინების წინააღმდეგ (Vertido v. The Philippines)
22. ს.ვ.პ ბულგარეთის წინააღმდეგ (S.V.P. v. Bulgaria)
23. რ.პ.ბ ფილიპინების წინააღმდეგ (R.P.B v. The Philippines)

1. სტამბულის კონვენცია

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია სამართლებრივად მბოჭავი დოკუმენტია. იგი აღიარებს რა, რომ ოჯახში ძალადობა არაპროპორციულად მოქმედებს ქალებზე, მხარეებს მოუწოდებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გენდერული ძალადობის მსხვერპლ ქალებს. იგი აღიარებულია, როგორც ყველაზე ძლიერი იურიდიულად სავალდებულო მექანიზმი ყოვლისმომცველი სტანდარტებით ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის მიზნით. სტამბულის კონვენციის სამი ძირითადი ქვაკუთხედია: პრევენცია, დაცვა და დევნა.

პრევენცია – მთავრობებს, რომლებიც მზაობას გამოთქვამენ შებოჭილნი იყვნენ კონვენციით, ეკისრებათ შემდეგი ვალდებულებები: მოამზადონ პროფესიონალები, რომელთაც მსხვერპლებთან უშუალო კონტაქტი ექნებათ; რეგულარულად აწარმოონ ცნობიერების ამაღლების კამპანიები; გადადგან ნაბიჯები რათა სასწავლო მასალებში აისახოს ისეთი საკითხები, როგორიცაა გენდერული თანასწორობა, არაძალადობრივი მეთოდებით კონფლიქტების მოგვარება ინტერპერსონალურ ურთიერთობებში; შეიმუშავონ და განახორციელონ ოჯახში ძალადობის დანაშაულის ჩამდენი პირებისა და სქესობრივი დანაშაულების ჩამდენ პირთა მიმართ მკურნალობის პროგრამები; მჭიდროდ ითანამშრომლონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან; ჩაერთონ მედია და კერძო სექტორი გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრაში და ხელი შეუწყონ ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემოს ფორმირებას.

დაცვა – კონვენციაში აღწერილი ზომები მოიცავს მაგ: პოლიციელის აღჭურვა უფლებამოსილებით ოჯახში ძალადობის დროს მოძალადე მოაცილოს სახლს; დაზარალებულისათვის ადეკვატური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ადვილად ხელმისაწვდომი თავშესაფრების შექმნა საკმარისი რაოდენობით და ადეკვატური გეოგრაფიული მდებარეობით; სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე, უფასო 24/7 სატელეფონო დახმარების ხაზის ხელმისაწვდომობა; ან ადვილად ხელმისაწვდომი გაუპატიურების კრიზისის ან სექსუალური ძალადობის რეფერალური ცენტრების მოწყობა.

დევნა – კონვენცია გვაძლევს განმარტებას და კრიმინალიზებულს (სისხლის სამართლებრივად დასჯადს) ხდის ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის ოჯახში ძალადობას. იმ ქვეყნებში სადაც არ არის აღნიშნული ქმედებები კრიმინალიზებული, წევრ სახელმწიფოებს მოუწევთ კანონმდებლობაში ასახონ ახალი ტიპის დანაშაულები. უფრო მეტიც,

სახელმწიფოებს მოუწევთ, უზრუნველყონ სამართლებრივი განხილვები. უზრუნველყონ ისეთი გარემოს შექმნა, სადაც განხილვები წარიმართება დაზარალებულთა უფლებების აბსოლუტური დაცვით სამართალწარმოების ყველა სტადიაზე ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული მსხვერპლის ხელახალი ვიქტიმიზაცია.

სტამბულის კონვენციას ხელი მოაწერა და რატიფიცირება მოახდინა ავსტრიამ, საქართველომ, იტალიამ, ესპანეთმა, ხორვატიამ და სხვა ქვეყნებმა. იგი ხელმოწერილია, მაგრამ მისი რატიფიცირება ჯერ არ მომხდარა სომხეთში, ჩეხეთის რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში. ასე რომ, ფაქტობრივად, სტამბულის კონვენცია ჯერ კიდევ არ არის იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის, მხოლოდ მათთვის ვისაც რატიფიცირებული აქვს. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ.

#Istanbul convention, #prevention, #sexual violence, #domestic violence, #help

#სტამბულის კონვენცია, #პრევენცია, #სექსუალური ძალადობა, #ოჯახში ძალადობა, #დახმარება

2. დირექტივა დანაშაულის მსხვერპლთათვის უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტების დადგენის შესახებ.

ევროკავშირის ეს დოკუმენტი ზოგადად ყურადღებას ამახვილებს დანაშაულის მსხვერპლებზე, თუმცა ასევე სპეციფიურად ფოკუსირებულია ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე. ის განსაზღვრავს, რას გულისხმობს გენდერული ძალადობა და ძალადობა ახლო ურთიერთობებში. ადგენს, რომ "ძალადობა ახლო ურთიერთობებში არის სერიოზული და ხშირად დაფარული სოციალური პრობლემა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სისტემური ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმა მძიმე შედეგებით, რადგან დამნაშავე არის ადამიანი, რომელის მიმართაც, მსხვერპლს უნდა გააჩნდეს ნდობა. სწორედ ამიტომ, შესაძლოა, რომ ძალადობის მსხვერპლები ახლო ურთიერთობებში დამატებით დაცვის ღონისძიებებს საჭიროებდნენ. ამ ტიპის ძალადობა ქალებზე განსაკუთრებულად დიდ გავლენას ახდენს... ".

დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს დანაშაულის მსხვერპლთა მკურნალობის წესებს, ხაზს უსვამს, რომ ინტიმური პარტნიორისაგან ძალადობის მსხვერპლნი განსაკუთრებით მოწყვლადები არიან და მოძალადეების მხრიდან დაშინებისა და შურისძიების მაღალი მაჩვენებლების გამო ხშირად განიცდიან ხელახალ და განმეორებით ვიქტიმიზაციას. აქედან გამომდინარე, დაზარალებულთან კომუნიკაციისას თუ საქმის გამოძიების დროს ისინი საჭიროებენ განსაკუთრებულ მიდგომას. ამავდროულად მიღებულ უნდა იქნას მსხვერპლთა დასაცავად სპეციალური ზომები. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ.

#crime, #definition, #trauma, #protection, #secondary victimisation

#დანაშაული, #განმარტება, #ტრამვა, #დაცვა, #ხელახალი ვიქტიმიზაცია

3. - 4. რეგულაცია სამოქალაქო შემთხვევებზე არსებული დაცვის მექანიზმების ცნობის შესახებ და დირექტივა ევროპული დაცვის წესრიგი

ევროკავშირის ეს დოკუმენტები მიემართება იმ დაცვის ზომებს, რომლებიც ვრცელდება პიროვნებაზე, ვისი სიცოცხლე, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მთლიანობა, პირადი თავისუფლება, უსაფრთხოება და

სექსუალური მთლიანობა საფრთხის ქვეშაა და აგრეთვე მიემართება ახლო ურთიერთობაში ძალადობის მსხვერპლებს.

ძალადობისა და შევიწროებისაგან დაზარალებულთა (განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმების და ადევნების) ეფექტურად დასაცავად ადგილობრივ ხელისუფლებას შეიძლება განახორციელოს კონკრეტული ზომები (თავშეკავება, შეზღუდვა ან მსგავსი დაცვის წესი), რაც ხელს შეუწყობს მოძალადისაგან მომდინარე შემდგომი აგრესიის ან შემდგომი თავდასხმის თავიდან აცილებას.

თუ პირს წევრი სახელმწიფოსაგან მინიჭებული აქვს დაცვის სპეციალური ღონისძიებები მას შეუძლია განაგრძოს აღნიშნული დაცვის ღონისძიებით სარგებლობა მაშინაც კი, როდესაც ის დატოვებს საკუთარ ქვეყანას და გადაადგილდება სხვა ქვეყანაში. აღნიშნული წესი უზრუნველყოფილია იმით, რომ დაცვის ღონისძიებები აღიარებულია საერთაშორისოდ სახელმწიფოების მიერ.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ, ხოლო დირექტივა აქ.

#protection, #domestic violence, #stalking, #help

#დაცვა, #ოჯახში ძალადობა, #ადევნება, #დახმარება

5. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია

აღნიშნულ კონვენციას (რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც CEDAW) ხშირად უწოდებენ ქალთა საერთაშორისო ბილს უფლებების შესახებ. კონვენცია არ მოიხსენიებს გენდერულ ძალადობას ან ინტიმური პარტნიორის მიერ განხორციელებულ ძალადობას, იგი ორიენტირებულია ზოგადად ქალთა მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციაზე. კონვენცია განსაზღვრავს დისკრიმინაციას ქალთა მიმართ, როგორც "... ნებისმიერი განსხვავება, გამონაკლისი ან შეზღუდვა სქესის საფუძველზე, რომელსაც აქვს გავლენა ან მიზანი დაარღვიოს მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძვლები, ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან სხვა სფეროში. " კონვენციის მიღებით, გაეროს წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებები, რათა დასრულდეს ქალთა მიმართ დისკრიმინაცია ყველა ფორმით. სახელმწიფოები, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება და დაეთანხმნენ მის პირობებს, შეიბოჭნენ აღნიშნული დებულებებით. ისინი ვალდებულნი არიან, წარადგინონ ეროვნული ანგარიშები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმ ზომების შესახებ, რომლებიც მათ განახორციელეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ.

6. ბავშვის უფლებათა კონვენცია

ბავშვის უფლებათა კონვენცია არის 1989 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ხელშეკრულება. ამ დოკუმენტში არ არის ნახსენები ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობისა თუ გენდერული ძალადობის შესახებ, თუმცა სავარაუდოა, რომ იგი ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს ბავშვთა უფლებებთან მიმართებით. ვინაიდან კონვენცია განმარტავს ბავშვს, როგორც ყველა 18 წელს მიუღწეველ ადამიანს, იგი ერთ-ერთი მთავარი

დოკუმენტია, რომელიც შეეხება არასრულწლოვნების ურთიერთობებთან დაკავშირებულ ძალადობას. კონვენციის ოთხ ძირითად პრინციპს წარმოადგენს დისკრიმინაციის არ არსებობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების მიხედვით მოქმედება, სიცოცხლის უფლება, უსაფრთხოება და განვითარება, და ბავშვის შეხედულებების პატივისცემა. კონვენცია ხაზს უსვამს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამის ზომა, რათა დაიცვან ბავშვი ყველა ფორმის ფიზიკური ან გონებრივი ძალადობისაგან, დაზიანების ან ჩაგვრისაგან, უგულებელყოფის ყველა ფორმისაგან, არასათანადო მოპყრობისა და ექსპლუატაციისგან.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ.

ევროპის კავშირი (ევროკავშირი) არის 28 წევრი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი, რომლებიც ძირითადად ევროპაში მდებარეობს. ევროკავშირმა შეიმუშავა შიდა ერთიანი ბაზარი იმ სტანდარტიზებული სამართლებრივი სისტემის მეშვეობით, რომელიც ვრცელდება ყველა წევრ სახელმწიფოზე მხოლოდ იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებზეც წევრები შეთანხმდნენ, რომ მოქმედებდნენ, როგორც ერთიანი სუბიექტი. ევროკავშირის პოლიტიკა მიზნად ისახავს შიდა ბაზარზე ხალხის, საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას, მართლმსაჯულების საერთო ჩარჩოს შექმნას და დამკვიდრებას და ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და რეგიონალური განვითარების საერთო პოლიტიკის შენარჩუნებას.

ევროპის საბჭო (ევროსაბჭო) არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის გაცხადებული მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატია და კანონის უზენაესობა ევროპაში. დაარსდა 1949 წელს, ჰყავს 47 წევრი, მოიცავს დაახლოებით 820 მილიონ ადამიანს და მისი წლიური სამუშაო ბიუჯეტი განისაზღვრება დაახლოებით ნახევარი მილიარდი ევროს ოდენობით. ევროკავშირისგან განსხვავებით, ევროპის საბჭო არ შეიმუშავებს სავალდებულო კანონებს, მაგრამ მას აქვს შესაძლებლობა, რათა ევროპის ქვეყნების მიერ სხვადასხვა საკითხებზე მიღწეული საერთაშორისო შეთანხმებების აღსრულება უზრუნველყოს. ევროპის საბჭოს ყველაზე ცნობილი ორგანოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც მოქმედებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) ამჟამად 193 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს ზომები 21-ე საუკუნეში არსებულ გამოწვევებზე, როგორიცაა მშვიდობა და უსაფრთხოება, კლიმატის ცვლილება, მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებები, განიარაღება, ტერორიზმი, ჰუმანიტარული და ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციები, გენდერული თანასწორობა, მმართველობა, სურსათის წარმოება და სხვა. გაერო ასევე უზრუნველყოფს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარი შეხედულებები გამოხატონ გენერალურ ასამბლეაში, უშიშროების საბჭოში, ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში და სხვა ორგანოებსა და კომიტეტებში.